სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება № 01-08/715

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ქეთევან ბერსენაძისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ქეთევან ბერსენაძის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ერთი და იგივე სასწავლო კურსში სამჯერ ჩაიჭრა.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, ერთი და იგივე სასწავლო კურსში სამჯერ „ჩაჭრა" - F შეფასების მიღების შემთხვევაში პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონშესაბამისია ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ქეთევან ბერსენაძის მიმართ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, 66–ე მუხლის მე–8 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, ბსუ-ს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 14 სექტემბრის MES 5 23 0001149514 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ქეთევან ბერსენაძის (პ/ნ [redacted], მიმართ, რომელიც ერთი და იგივე სასწავლო კურსში სამჯერ ჩაიჭრა.

2. ქეთევან ბერსენაძეს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოს, რომ შეუძლია ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ ბრძანებასთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს **2023 წლის 29 სექტემბერს**, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ინდივიდუალურად ეცნობოს სტუდენტს, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისს და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

5. ბრძანება სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტს და განთავსდეს მის პირად საქმეში.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**